იმუნური სისტემა ინფექციისგან სხეულს რამდენიმე დონეზე იცავს, ამასთან დაცვის სპეციფიურობა თითოეულ დონეზე მატულობს. ეს დონეებია:

- პირველი დონე - ფიზიკური ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან ინფექციის გამომწვევების (ბაქტერიების და ვირუსების) ორგანიზმში შეღწევას. თუ პათოგენი გადალახავს ამ ბარიერებს, მაშინ მასზე ზემოქმედებას გახორციელებს შემდეგი დონე;
- მეორე დონე თანდაყოლილი იმუნური სისტემაა. ის გვხვდება ყველა მცენარეში და ცხოველში. იმ შემთხვევაში, როდესაც პათოგენები გადალახავენ თანდაყოლილ იმუნურ მექანიზმებსაც, ხერხემლიანებში ჩაერთვება დაცვის შემდეგი დონე;
- მესამე დონე შეძენილი იმუნური სისტემაა. იმუნური სისტემის ეს ნაწილი თავისი რეაქციის ადაპტაციას ახდენს ინფექციურ პროცესში, უცხო ბიოლოგიური მასალის ამოცნობის გასაუმჯობესებლად. ასეთი გაუმჯობესებული პასუხი შენარჩუნებულია პათოგენის განადგურების შემდეგაც იმუნოლოგიური მეხსიერების ფორმით. ეს საშუალებას აძლევს შეძენილი იმუნიტეტის მექანიზმებს უფრო სწრაფი და ძლიერი რეაგირება მოახდინონ იგივე პათოგენის ყოველი შემდგომი გამოჩენისას.

იმუნურ მოქმედებებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპლემენტის სისტემა. ის წარმოადგენს ბიოქიმიურ კასკადს, რომელიც უტევს უცხო წარმოშობის უჯრედების მემბრანას. კომპლემენტი მოიცავს 20-ზე მეტ სხვადასხვა ცილას. ის არის თანდაყოლილი იმუნური პასუხის ძირითადი ჰუმორული კომპონენტი. კომპლემენტის სისტემა ბევრ სახეობას გააჩნია, მათ შორის მრავალ უხერხემლოსაც.

ადამიანებში, ეს მექანიზმი აქტიურდება მიკრობული უჯრედების ზედაპირზე არსებულ ნახშირწყლებზე ან ამ მიკრობებზე დამაგრებულ ანტისხეულებზე კომპლემენტის ცილების მიერთებით (მეორე შემთხვევა ასახავს ურთიერთკავშირს თანდაყოლილი და შეძენილი იმუნიტეტების მექანიზმებს შორის). უჯრედის მემბრანზე მიმაგრებული კომპლემენტიდან გამოსული სიგნალი იწვევს სწრაფ რეაქციებს, რომლებიც მიმართულია ამ უჯრედის განადგურებაზე. ამგვარი რეაქციების სიჩქარე განპირობებულია კომპლემენტის მოლეკულების თანმიმდევრული პროტეოლიზური გაძლიერებით, რომლებიც თავისთავად პროტეაზებს (ჰიდროლაზების კლასის პროტეოლიზურ ფერმენტებს) წარმოადგენენ. მას შემდეგ, რაც კომპლემენტის ცილები მიუერთდებიან მიკროორგანიზმს, გაიშვება მათი პროტეოლიზური მოქმედება, რაც, თავის მხრივ, აქტიურებს კომპლემენტის სისტემის სხვა პროტეაზებს და ა.შ. ამრიგად, წარმოიშობა კასკადური რეაქცია, რომელიც აძლიერებს საწყის სიგნალს მართვადი დადებითი უკუკავშირის საშუალებით. კასკადის შედეგად წარმოიქმნება პეპტიდები, რომლებიც იზიდავენ იმუნურ უჯრედებს, აძლიერებენ სისხლძარღვთა უონვალობას და ახდენენ უჯრედების ზედაპირის ოპსონიზაციას (ანტისხეულების და კომპლემენტის ფაქტორის ადსორბციას), რაც ფაქტიურად მათი მონიშვნაა გასადგურებლად. გარდა ამისა, უჯრედის ზედაპირზე კომპლემენტის

ფაქტორების არსებობა, ციტოპლაზმული მემბრანის დაშლის შედეგად იწვევს მის განადგურებას.

იმუნურ სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სისხლის ფორმიანი ელემენტები. ლეიკოციტები წარმოადგენენ ძირითად უჯრედებს, როგორც თანდაყოლილ (გრანულოციტები და მაკროფაგები), ისე შეძენილ (ჰირველ რიგში, ლიმფოციტები) იმუნიტეტში. ამასთანავე, მათი მოქმედებები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.

ნატურალური კილერები დიდი ლიმფოციტებია, რომლებსაც გააჩნია ციტოტოქსიურობა სიმსივნური და ვირუსული უჯრედებისადმი. დღეისათვის ამ უჯრედებს განიხილავენ, როგორც ლიმფოციტების ცალკე ჯგუფს. ისინი ფორმირდებიან ლიმფობლასტების დიფერენცირების შედეგად ძვლის ტვინში. მათი გარდაქმნა კილერებად ხდება სხვადასხვა ქსოვილებში და ორგანოებში (ლიმფური კვანძები, ელენთა, ღვიძლი, ნაწლავები, თიმუსი, საშვილოსნო და სხვა), სადაც ისინი გადიქცევიან სხვადასხვა ვარიანტის ნატურალურ კილერებად. ნატურალურ კილერებს მათ ასე უწოდებენ, იმის გამო, რომ ისინი T-ლიმფოციტ-კილერებისგან განსხვავებით, მზად არიან მკვლევლობისთვის უცხო უჯრედის შესწავლის გარეშე, დაუყოვნებლად. ნატურალური კილერების მოქმედების მექანიზმი იგივეა, რაც T-კილერების: ორივე კილერი თავის თავში ატარებს ერთი და იგივე გრანულებს, რომლებშიც მოთავსებულია ტოქსიკური ნივთიერება. NK-უჯრედი მჭიდროდ ეკონტაქტება სამსხვერპლო უჯრედს და შეუშვებს მასში ტოქსიკურ ნივთიერებას, რომელიც მას კლავს. ნატურალური კილერები კი ამ შხამისგან დაცულია.

უჯრედებს, რომლებიც განასახიერებენ თანდაყოლილ იმუნურ პასუხს, მიეკუთვნებიან ფაგოციტები (მაკროფაგები, ნეიტროფილები და დენდრიტული უჯრედები), პოხიერი უჯრედები, ბაზოფილები, ეოზინოფილები და ბუნებრივი კილერები. ეს უჯრედები ამოიცნობენ და ანადგურებენ უცხო ნაწილაკებს ფაგოციტოზის გზით (მთანთქმა და უჯრედშიდა მონელება). გარდა ამისა, თანდაყოლილი იმუნიტეტის განმსხორციელებელი უჯრედები მნიშვნელოვანი შუამავლებია შეძენილი იმუნიტეტის მექანიზმების გააქტიურების პროცესში.

COVID-19

რამდენიმე წელია, რაც ძალიან აქტუალური გახდა პათოგენური ვირუსების ერთ-ერთი სახეობა - კორონავირუსები. მათ წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ამ ვირუსებმა შეიმუშავეს მრავალი სტრატეგია მასპინძელი ანტივირუსული იმუნიტეტის თავიდან ასაცილებლად. მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსები ვეტერინარიაში აღიარებულია, როგორც უაღრესად ვირულენტული პათოგენები, ისინი განიხილებოდნენ, როგორც მსუბუქი ინფექციური აგენტები, რომლებიც ადამიანებში იწვევენ მსუბუქ სეზონურ გაცივებას და რესპირატორულ დაავადებებს. თუმცა, ზოონოზური წარმოშობის კორონავირუსის ზოგიერთმა შტამმა, როგორცაა მწვავე რესპირატორულ სინდრომთან ასოცირებული კორონავირუსი (SARS-CoV), ახლო აღმოსავლეთის რესპირატორული

სინდრომის კორონავირუსი (MERS-CoV) და ახალმა კორონავირუსმა (SARS-CoV-2), გამოიწვიეს პერიოდული აფეთქებები, რომლებიც აავადებენ ადამიანებს და ემუქრებიან ადამიანის ჯანმრთელობას მისი (SARS-CoV) პირველი აფეთქებიდან 2003 წელს. ეს კორონავირუსები არღვევენ მასპინძლის თავდაცვით პროგრამას მრავალი თანდაყოლილი ანტივირუსული პასუხების დარღვევით, რომლებსაც უნდა გაენადგურებიათ ვირუსები. შედეგად კი ხდება ვირუსების წარმატებული გადაცემა და ადაპტაცია ადამიან-მასპინძელზე [2].

კორონავირუსული დაავადება-2019 (Coronavirus disease-2019 - COVID-19) არის უაღრესად გადამდები სერიოზული რესპირატორული დაავადება, რომელსაც იწვევს SARS-CoV-2 და რომელიც პირველად გამოვლინდა ჩინეთში, ქალაქ ვუჰანში, 2019 წლის დეკემბერში. SARS-CoV-2 სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის 11 მარტს გამოაცხადა პანდემია SARS-CoV-2-ზე [3]. COVID-19 პანდემიამ მკვეთრად შეცვალა ადამიანების ცხოვრების წესი, დიდი ზეგავლენა მოახდინა სამედიცინო მომსახურების არსებულ სისტემაზე და გახდა უზარმაზარი სოციალური და ეკონომიკური ტვირთი. მრავალი კორონავირუსის არსებობა ლამურებში, მათ შორის SARS-თან დაკავშირებულ CoV-ებში და კორონავირუსების სპორადული გადაკვეთა ადამიანის სახეობრივ ბარიერზე, იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა შემდგომშიც მოხდეს ზოონოზური გადაცემების შემთხვევები. ამიტომ, საჭიროა სასწრაფოდ მოიძებნოს გამოსავალი COVID-19 პანდემიის კონტროლის, ისევე როგორც პოტენციური მსგავსი პანდემიებისა მომავალში, განსაკუთრებით ვირუსული გავრცელების პრევენციისა და ვირუსით გამოწვეული დაავადებების სამკურნალოდ. კორონავირუსის მასპინძელთან ურთიერთქმედების მექანიზმების გაცნობიერება უმნიშვნელოვანესია ეფექტური ვაქცინებისა და თერაპიული საშუალებების შემუშავებისთვის [2].

კორონავირუსები ეკუთვნის კორონავირინების ოჯახის ორთოკორონავირინების ქვეოჯახს. ორთოკორონავირინების ქვეოჯახის ვირუსები შეიძლება დაიყოს ოთხ გვარეობად: ალფა-კორონავირუსი, ბეტა-კორონავირუსი, გამა-კორონავირუსი და დელტა-კორონავირუსი [3]. ცნობილია, რომ ამ ვირუსებს შორის ალფა- და ბეტა-კორონავირუსების შვიდი შტამიდან ოთხი (HCoV-229E, HCoV-OC43, HCoV-NL63, HCoV-HKU1) ადამიანებში იწვევს ზედა სასუნთქი გზების მსუბუქ სიმპტომებს, რომლებიც ჩვეულებრივ აღიარებულია როგორც სეზონური გაციება [3]. ამის საპირისპიროდ, დანარჩენმა სამმა შტამმა (SARS-CoV, MERS-CoV და SARS-CoV-2), რომლებიც გადაეცემა ზოონოზური გადაცემით, შეიძლება გამოიწვიოს მძიმე რესპირატორული სიმპტომები უნიკალური პათოგენებით, მათ შორის მძიმე ლიმფოპენიითა და ვრცელი პნევმონიით, რომელიც გამოწვეულია მასპინძლის აბერანტული (გაუკუღმართებული) ანტივირუსული რეაქციებით [4].

კორონავირუსები რნმ-გარსიანი ვირუსებია, რომლებსაც გააჩნიათ ყველაზე დიდი ვირუსული რნმ. კორონავირუსით დაინფიცირებისთანავე, ვირუსის სასიცოცხლო ციკლი

ინცეპა ვირუსის ეკლისებური პროტეინის (virus spike protein - S) შეკავშირებით სამიზნე უჯრედის ზედაპირის რეცეპტორებთან, რაც იწვევს ვირუსის შერწყმას სამიზნე უჯრედთან [5]. უჯრედშიდა ვირუსული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, კორონავირუსის გენომური რნმ არ იფარება ნუკლეოკაფსიდური (N) ცილით, რაც იწვევს ორი წასაკითხი ღია ჩარჩოს ტრანსლაციას. ტრანსლირებული ღია ჩარჩოები (open reading frames - ORFs) აწარმოებენ ორ დიდ პოლიპროტეინს, pp1a-ს და pp1ab-ს, რომლებიც შემდგომ იშლება ვირუსული პროტეაზებით, რომლებიც კოდირებული არიან არასტრუქციული პროტეინ 3-ით (Nsp3) - პაპაინის მსგავსი პროტეაზით და Nsp5-ით (3C-ს მსგავსი პროტეაზას) გენებით, რათა წარმოქმნან ფუნქციური არაკონსტრუქციული პროტეინები (Nsp1-Nsp16) [6]. Nsp2-Nsp16-ით წარმოქმნილი ვირუსული რეპლიკაციისა და ტრანსკრიპციის კომპლექსი (RTC) დამატებით ხელს უწყობს ვირუსული გენომური რნმ-ის რეპლიკაციას და სუბგენომური mRNA-ს ტრანსკრიპციას. ამ ცილებს შორის, Nsp3, Nsp4 და Nsp6 მონაწილეობენ ორმაგი მემბრანული ვეზიკულების (double-membrane vesicle - DMV) წარმოქმნაში, ვირუსის ორგანელების ორ სხვა რეპლიკაციასთან ერთად, კერძოდ, დაგრეხილ მემბრანებთან (convoluted membranes - CMs) და მცირე ღია ორმაგ მემბრანებთან (DMS) ერთად, რომლებიც უზრუნველყოფენ დამცავ მიკროგარემოს ვირუსული გენომური რნმ-ის და სუბგენომური მრნმ-ის რეპლიკაციას [7]. Nsp7 და Nsp8 არის რნმ – ზე დამოკიდებული რნმ პოლიმერაზას (RdRp) ორი კოფაქტორი, რომლებიც არიან Nsp12-ში [8] და Nsp13-Nsp16-ში არსებულ რნმ-მოდულირებულ ფერმენტებთან ერთად, ისინი ხელს უწყობენ ვირუსული რნმ-ის სინთეზს და მოდიფიკაციას [9]. აღსანიშნავია, რომ Nsp14- ში არსებული 3' –5' ეგზონუკლეაზა ასრულებს რნმ-ის შემოწმების ფუნქციას რნმ-ის სინთეზის დროს [10]. ვირუსულ სასიცოცხლო ციკლში რნმ-ის დამცავ მექანიზმს ქმნიან Nsp10 (კოფაქტორი), Nsp13 (RNA 5' ტრიფოსფატაზას აქტივობა), Nsp14 (N7-მეთილტრანსფერაზას აქტივობა) და Nsp16 (2'-O-მეთილტრანსფერაზას აქტივობა). თუმცა მათი მექანიზმი ჯერ კიდევ გასარკვევია [11,12,13].

დაუყოვნებელი უჯრედული რეაქცია პათოგენების შეჭრაზე გადამწყვეტია უჯრედის ჰომეოსტაზის შესანარჩუნებლად და ცოცხალი ორგანიზმის გადარჩენად. მასპინძლის პასუხები ჩაერთვებიან ჩანასახოვანი ხაზით კოდირებული უჯრედული რეცეპტორებით, რომლებიც ცნობილია როგორც "ნიმუშის ამოცნობის რეცეპტორები" (pattern recognition receptors - PRRs), რომლებიც ამოიცნობენ "არა-თავის" და "უცხო" მოლეკულების სპეციფიკურ ნიმუშებს, რომლებსაც ეწოდება "პათოგენთან დაკავშირებული მოლეკულური ნიმუშები" (pathogen-associated molecular patterns - PAMPs) და "საფრთხესთან დაკავშირებული მოლეკულური ნიმუშები" (danger-associated molecular patterns - DAMPs). ძუძუმწოვრებში, PRR-ების გააქტიურება PAMP-ების ან DAMP-ების გააქტიურებით ჩაერთვება თანდაყოლილი იმუნური პასუხები და ქმნის მრავალ IFN-ს და ანთების წინარე ციტოკინებს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში გაჩნდნენ სხვადასხვა PRR-ები, როგორცაა Toll-ის მსგავსი რეცეპტორები (Toll-like receptors - TLRs),

ნუკლეოტიდ-დამაკავშირებელი ოლიგომერიზაციის მსგავსი დომენების (nucleotide-binding oligomerization domain - NOD) რეცეპტორები (NLR), C-ტუბის ლექტინის (CLR), AIM2-ის მსგავსი რეცეპტორები (ALR), ციკლური GMP-AMP სინთეზის (cGAS) და რეტინოიდმუავით გამონწვეული გენ I-ის (RIG-I) მსგავსი რეცეპტორები (RLRs) [14,15,16,17,18]. ამ რეცეპტორებს შორის, TLR და RLR არის ორი ძირითადი რეცეპტორი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან RNA ვირუსის ინფექციის ამოცნობაზე და ინტერფერონის ანტივირუსული პროგრამების გაშვებაზე [1].

მასპინძლის თანდაყოლილი იმუნური სისტემის მიერ ვირუსების ამოცნობით სწრაფად იწყება ინტერფერონის წარმოება, რაც იწვევს ასობით იმუნური შრატის გლობულინის (immune serum globulin-ის - ISG) ექსპრესიას (გამოხატვას) და შემდგომ ანტივირუსულ პასუხებს. შემდგომში, წარმოებული ინტერფერონები და ციტოკინები კოორდინაციას უწევენ დროულ და დაბალანსებულ ადრეულ იმუნურ პასუხებს, რაც შემდგომ პროვოცირებას უკეთებს მასპინძლის იმუნურ პასუხებს, რომლებიც დამატებით იწვევენ მასპინძლის ანტივირუსულ თავდაცვით პროგრამებს, ვირუსული ინფექციის ადგილებზე რამოდენიმე ტიპის იმუნური უჯრედის მოზიდვით [19].

აღნიშნულია, რომ ინტერფერონ-ინდუცირებული ტრანსმემბრანული (IFITM) ცილები ბლოკავენ ვირუსების გარსის შერწყმას უჯრედის მემბრანებთან [20] ან თრეუნავენ ვირუსის შემავალი ნაწილაკების უჯრედშიდა ტრანსპორტს [21,22].

დასკვნა

კორონავირუსული პანდემია ძალზე მნიშვნელოვანია. ამ კორონავირუსებს გააჩნია მკაფიო მახასიათებლები, რომლებიც დაკავშირებულია მათ ვირულენტობასთან და პათოგენურობასთან. ჯერ ერთი სამივე უაღრესად პათოგენური კორონავირუსი არის ზოონოზური და წარმოშობილია ღამურებისგან ან ხვლიკებისგან [23]. ამრიგად, ჩვენი იმუნური სისტემა არის „გულუბრყვილო“ და არ არის მომზადებული „არასოდეს ნანახი“ ოკუპანტისადმი. მეორე, როგორც ჩვენ განვიხილეთ, კორონავირუსებს გააჩნია მრავალი მექანიზმი, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა თანდაყოლილ იმუნურ პასუხზე, რათა თავი აარიდოს მასპინძლის ანტივირუსულ თავდაცვის პროგრამებს. არადროული და არაშესაბამისი თანდაყოლილი იმუნიტეტის გააქტიურებამ შეიძლება გამოიწვიოს ვირუსების გამრავლება, რაც პირდაპირ კავშირშია დაავადების სიმძიმესა და სიკვდილიანობასთან. და ბოლოს, კორონავირუსებმა შეიძლება გამოიწვიოს ცირკულირებადი ანთების წინარე ციტოკინებისა და ქემოკინების დონის მომატება მასპინძლის უკონტროლო იმუნური პასუხებით ე.წ. „ციტოკინური ქარიშხლით“ [1].

კორონავირუს 2-ს (SARS-CoV-2) ახასიათებს მძიმე რესპირატორული სინდრომი, რომელიც გამონწვეულია მასპინძელი ორგანიზმის მნიშვნელოვანი ეფექტური იმუნური პასუხით და იმუნური დისრეგულაციის დამანგრეველი ეფექტით. წარმოიქმნა ტერმინი "ციტოკინების გამოთავისუფლების სინდრომი". ციტოკინური ქარიშხალი და ციტოკინების

გამოთავისუფლების სინდრომი სიცოცხლისათვის საშიში სისტემური ანთებითი სინდრომებია, რომლებიც მოიცავენ ციტოკინების მომატებულ დონეს და იმუნური უჯრედების ჰიპერაქტივაციას, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მკურნალობის სხვადასხვა მეთოდებით, პათოგენებით, სიმსივნით, აუტოიმუნური და მონოგენური მდგომარეობებით.

ციტოკინურ ქარიშხალს ადრე უწოდებდნენ გრიპის მსგავს სინდრომს, რომელიც წარმოიქმნებოდა სისტემური ინფექციების შემდეგ, როგორცაა სეფსისი, აგრეთვე იმუნოთერაპიის შემდეგ რაც აიძულებს ალვეოლურ მაკროფაგებს ციტოკინების გადაჭარბებული რაოდენობის წარმოქმნას, რის შედეგადაც წარმოიქმნება ციტოკინური ქარიშხალი. ფიქრობენ, რომ მომეტებულმა იმუნურმა პასუხმა გამოიწვია 1918-1919 წლების პანდემიის გაზრდილი ლეტალობა.

ციტოკინური ქარიშხლის მკურნალობის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული მიზანმიმართული მეთოდია მონოკლონური ანტისხეულის გამოყენება ინტერლეიკინ-6 ტოცილიზუმების რეცეპტორების წინააღმდეგ, რომელიც შეიქმნა 1990-იან წლებში იდიოპათიური მულტიცენტრული კასტელმენის დაავადების სამკურნალოდ. მრავალი სხვა დარღვევაა აღწერილი (სეფსისი, პირველადი და მეორადი ჰემოფაგოციტური ლიმფოპისტიოციტოზი, აუტანთებითი დარღვევები და Covid-19), რომლებიც ციტოკინური ქარიშხლის გამომწვევი მიზეზია და რომელთა მკურნალობა საჭიროებს იმუნური თერაპიის გამოყენებას [24].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Charles Janeway et al. Immunobiology; Fifth Edition (неопр.). — New York and London: Garland Science (англ.). 2001. — ISBN 0-8153-4101-6.
2. Yusuke Kasuga et al. Innate immune sensing of coronavirus and viral evasion strategies. *Experimental & Molecular Medicine* 53, pages 723–736 (2021).
3. Fung, T. S. & Liu, D. X. Human coronavirus: host-pathogen interaction. *Annu. Rev. Microbiol.* 73, 529–557 (2019).
4. Tse, L. V., Meganck, R. M., Graham, R. L. & Baric, R. S. The current and future state of vaccines, antivirals and gene therapies against emerging coronaviruses. *Front. Microbiol.* 11, 658 (2020).
5. Li, F. Structure, function, and evolution of coronavirus spike proteins. *Annu. Rev. Virol.* 3, 237–261 (2016).
6. Thiel, V. et al. Mechanisms and enzymes involved in SARS coronavirus genome expression. *J. Gen. Virol.* 84, 2305–2315 (2003).
7. Angelini, M. M., Akhlaghpour, M., Neuman, B. W. & Buchmeier, M. J. Severe acute respiratory syndrome coronavirus nonstructural proteins 3, 4, and 6 induce double-membrane vesicles. *mBio* <https://doi.org/10.1128/mBio.00524-13> (2013).

8. Subissi, L. et al. One severe acute respiratory syndrome coronavirus protein complex integrates processive RNA polymerase and exonuclease activities. *Proc. Natl Acad. Sci. USA* 111, E3900–E3909 (2014).
9. Snijder, E. J., Decroly, E. & Ziebuhr, J. The nonstructural proteins directing coronavirus rna synthesis and processing. *Adv. Virus Res.* 96, 59–126 (2016).
10. Eckerle, L. D., Lu, X., Sperry, S. M., Choi, L. & Denison, M. R. High fidelity of murine hepatitis virus replication is decreased in Nsp14 exoribonuclease mutants. *J. Virol.* 81, 12135–12144 (2007).
11. Ivanov, K. A. & Ziebuhr, J. Human coronavirus 229E nonstructural protein 13: characterization of duplex-unwinding, nucleoside triphosphatase, and RNA 5'-triphosphatase activities. *J. Virol.* 78, 7833–7838 (2004).
12. Chen, Y. et al. Biochemical and structural insights into the mechanisms of SARS coronavirus RNA ribose 2'-O-methylation by Nsp16/Nsp10 protein complex. *PLoS Pathog.* 7, e1002294 (2011).
13. Chen, Y. et al. Functional screen reveals SARS coronavirus nonstructural protein Nsp14 as a novel cap N7 methyltransferase. *Proc. Natl Acad. Sci. USA* 106, 3484–3489 (2009).
14. Takeuchi, O. & Akira, S. Pattern recognition receptors and inflammation. *Cell* 140, 805–820 (2010).
15. Krieg, A. M. AIMing 2 defend against intracellular pathogens. *Nat. Immunol.* 11, 367–369 (2010).
16. Sun, L., Wu, J., Du, F., Chen, X. & Chen, Z. J. Cyclic GMP-AMP synthase is a cytosolic DNA sensor that activates the type I interferon pathway. *Science* 339, 786–791 (2013).
17. Yoneyama, M. et al. The RNA helicase RIG-I has an essential function in double-stranded RNA-induced innate antiviral responses. *Nat. Immunol.* 5, 730–737 (2004).
18. Geijtenbeek, T. B. & Gringhuis, S. I. Signalling through C-type lectin receptors: shaping immune responses. *Nat. Rev. Immunol.* 9, 465–479 (2009).
19. Iwasaki, A. & Medzhitov, R. Control of adaptive immunity by the innate immune system. *Nat. Immunol.* 16, 343–353 (2015).
20. Li, K. et al. IFITM proteins restrict viral membrane hemifusion. *PLoS Pathog.* 9, e1003124 (2013).
21. Thiel, V. et al. Mechanisms and enzymes involved in SARS coronavirus genome expression. *J. Gen. Virol.* 84, 2305–2315 (2003).
22. Spence, J. S. et al. IFITM3 directly engages and shuttles incoming virus particles to lysosomes. *Nat. Chem. Biol.* 15, 259–268 (2019).
23. Andersen, K. G., Rambaut, A., Lipkin, W. I., Holmes, E. C. & Garry, R. F. The proximal origin of SARS-CoV-2. *Nat. Med.* 26, 450–452 (2020).
24. Fajgenbaum, D. C. & June, C. H. Cytokine storm. *N. Engl. J. Med.* 383, 2255–2273 (2020).

For Reasonably Protected Competition and Economic Regulation by "Atomic Balance"

Revaz Lordkipanidze

Teaching University Geomedi, Tbilisi, Georgia, 0114.

Email: revaz.lortkipanidze@geomedi.edu.ge

Abstract

The presented research showed, that the US has the best experience in an evaluating and protecting competition, but there is one essential imperfection in the understanding of perfect competition since the time of the classics of economic theory. This is important to have many competitors, but not very or infinitely many, as traditional "classic" specialists and even some official structures and persons think about fineness of really genius competition.

After pandemic and many conflicts period in modern global development, if we again don't correct this understanding, we can finally damage democracy with science-intensive businesses and help to different dictatorial monopolies.

If in the early years of my research, I considered the main obstacle to effective competition - unscrupulous big business, but now I think that an equally serious problem is the artificial fragmentation of honest and talented big producers.

Only with a reasonably protected competitive environment, by our observation of science-intensive areas of Healthcare Economy and Machine-building Industry, it is possible to organize a reasonable combination of state regulation factors and free market self-regulation.

The factors of regulation and self-regulation should be in non-monopoly equilibrium, like electrons and protons in an atom. Otherwise, as we know from history, we get different dictatorships or great depressions of surplus.

Keywords: Perfect competition, state regulation, free market self-regulation.

Introduction

As a scientist-economist, I always feel responsibility to fight for improving of living standard and possible elimination of poverty. We think, that this is possible only with a maximally minimal unfair competition in the world.

For a determination of the most exact understanding about competition, on a base of economic-mathematical analysis, I used [6; 8; 9] even physics and define the natural force of competition according to the well-known law of physics by the strength of electric current ($I=V/R$), makes

possible to determine the force of competition and the optimal level of really so needful competition.

Logically, after growth of market competitors number, the force of competition grows, but very large competition participants number, in my opinion, will cause only "short circuit" and "overheating" of economic structures and, as a result, a hyperinflation excess and a great crisis shock.

We noticed, that world economy does not need the competition of only infinitely large number of small business subjects (so called "ants" of economy) and wants a natural competition of really diligent competitors, where all market participants (not only medium and smallest, but also large and biggest) of the competition do own effective businesses.

The intersection of feedback curve of size of the biggest supplier and force of competition with a timetable for linking level of productivity and size of company, can obtain rational level for competition power by each concrete case [7: 103].

Material and Methods: After the very interesting and, in my opinion, accurate in the dates interpretation of the historical materials and process of a development in economic methods and relations, R. Fogel thought, that the accumulation of retro and present biomedical studies on the trends in longevity, combined with research of animal populations are leading many evolutionary biologists to place increasing attention to good human aging process [2: 9]. By a good influence of this multi-factorial research of human life, I conducted also a logical analysis of neuroeconomic character, which shows us, that a human not so often behaves as better for all.

The investigated simple everyday cases of businessman decisions in critical situations illustrated more instinctive and less expediency reactions, when businessman even goes to aggravate competition, when could do more comfortably. For example, if persons buy tickets to movies and make choices between full and empty halls, the instinct of desire to be more popular make them go to the full situation. The result is over-tensive competition and problems with air pollution of the full movie-palace. This is fact that in such cases the protection of a reasonable competition is very needful for wise regulation of future healthy processes of the world economy.

Observations on American business showed us too, that even an economically very strong country like America, without a wise international antitrust structure in new conditions of a world economy with only own internet abilities, will not be able to neutralize international dishonest implicit monopolies.

The unfair competition is the main motivator for long wars, poverty and terrorism [11], which demands urgent essential reforms, especially in small developing countries and practice has confirmed that big businessmen able to be wise careful democratic reformers as well.

Results

To main results I must mention, that as an economist, I consider myself like a debtor for developing of conceptually sound opinion on overcoming the very high 80% poverty level in the increasingly rich global economy, morally justified effective form of enriching a human and, logically, the just foundation of a competition.

The role of the United States in the reduction of world poverty is truly invaluable and many of my works are devoted to this.

My country - Georgia, after the collapse of the Soviet Union, by long wars, was in the most backward place in the world by GDP per capita and in conditions of the poorest statistical base, often only international society and professional intuition saved our research and all us.

The main reason for the failure at the start of an economic independence was an erroneous knowing about a competition and role of economic policy, whereas the different models with some combination of a competition and regulation gave the best stable results in as big countries as the US, Germany, China and so on [7: 3, 59, 91, 101].

The first results of my similar combined-network regulation are particularly noticeable in the started as tax warming by new American reform and even state subsidies and orders for the high-tech clusters of this really great democratic country (like Silicon Valley), on the social market of the economically developed EU countries (Germany, Sweden, Benelux countries), in free regional zones (China), with effective implementation of planned market mechanisms (Japan), in the healthcare of Great Britain, etc. We think clearly, that God and invisible hand of competition by genius Smith exist, but we are confident as well, that God doesn't require from persons to live with hands down - optimal regulation is urgently needful.

Since 30s of Great Depression (20th century) and postwar Germany reforms [10], debates between the neoclassical supporters of Adam Smith's competition ("Invisible Hand") and the supporters of Keynesian regulation [5] have become sharper until our time too. Some of them disclaimed Adam Smith's theory in generally and new neoclassical models came like diplomatically binding.

With the sincere respect to Adam Smith and David Ricardo, I must remark, that they genially see the power of the "Invisible Hand" of Competition, but in assessing of a created value by it, more emphasis is placed on the quantity of labor, but not on quality with demand for the needed maximal productivity. As we know, Smith writes about real and nominal price of commodities, that, for example, equal quantities of labor can be purchased for equal quantities of corn in different times [13] and Ricardo labor theory of value determines, that value of commodity or quantity of any other commodity for which this will exchange, depends on relative quantity of


labor which is needful for its production and not like greater or less compensations which are paid for different labors [12].

Instead of focusing on quantity, we think, equal importance should be given to quantity and quality criteria and, as in the atom, to regulatory and self-regulatory factors. The "price scissors", which we offered, at this period of economic development, we think, will activate certain regulatory mechanisms and also allow entrepreneurs to reduce prices.

For example, if the minimum possible price of a multivitamin complex after pandemic and military operations is \$5 and for this complex can be paid a maximum of \$15 on average from a human, according to my calculations, it is possible to build the presented supply and demand functions, where a competitive equilibrium is formed by \$10 price for a multivitamin ($-25+5P=75-5P$; accordingly, $P=10$). But if due to increased sickness rate the need for multivitamins is 30 units (which corresponds to the \$ 9 price level), instead of the equilibrium 25 units, the state should use "prices scissors" mechanism and give subsidies to the entrepreneur at \$ 2 per for unit:

$$-25 + 5(9 + S) = 30 \text{ and hence } S = 2.$$

P (price)



Conclusion

I am confident, that the especially respected reader remembers, that I published a lot of monographs

and different publications about a competition [6; 7] and in this new research I presented more concrete recommendations on rational competition and regulation. Without my "optimal

number” instead famous “large number”, we can divide the effective honest local businesses and create the best conditions for external hidden monopolies.

I think, that my 1019 works have shown [8], that my goal isn't a criticism of Smith - I think He was a genius for his era, but, naturally, with human errors. My strategical goal is again and again to perfect the established understanding from times of Smith until Bork [1] and Herfindahl-Hirschman (HHI) [4] visions, that the very large number of generator competitors (buyers or sellers as well) first of all determines the fineness of competition. As we know, HHI takes into account sizes of firms and logically quantity in markets and reaches maximum of 10 000 points when a single firm controls all market [4].

The definition of market competitiveness only according with Herfindahl-Hirschman's methodology, can create a false impression, that the market is doing well. And false impressions about the markets can lead to false ideas about the most important demographic and political-defensive abilities of all country.

For elimination of threats from artificial "race" (for a large number of competitors) of some „antimonopoly authorities” to new progressive small, middle and big businesses with innovation technologies, we recommend 5 main principles for estimates of market competitiveness:

1) economic effectiveness; 2) honesty of businesses; 3) level of the biggest supplier; 4) standard of unrealized (mostly substandard) production and services; 5) optimal number of competitors. Only different estimations with integral indexes will have now so needful for global economy results.

Sincere gratitude to science-minded democratic America that recently ended the above-mentioned longest war in the history of this great country [11], but it's too bad that after the pandemic, when people want more rest, recuperation and normal prices for living, a very dangerous war began in Europe.

In addition, after a severe pandemic crisis in the global economy, for example, bankrupt farmers are trying to get rich quick by raising prices. As a result, their products are not sold for a long time and spoiled. To this end, the poor and hunger are growing. I think, that the state in such extreme conditions should use my "prices scissors" mechanism with operative and competently substantiated subsidies to the starving population and entrepreneurs.

We must learn to think economically and cannot wait before times, when the market to do everything for us.

References:

1. Bork, Robert H. 1993. The Antitrust Paradox (second edition). New York: Free Press, also about it https://en.wikipedia.org/wiki/Perfect_competition

2. Fogel, Robert, W. 1999. "Catching Up with the Economy." *American Economic Review*, 89 (1): 1-21, <https://pubs.aeaweb.org/doi/pdfplus/10.1257/aer.89.1.1>
3. Herszenhorn, David M. 2013. Georgia Elects New President, but Real Power Will Rest with Next Premier. *New York Times*, https://www.nytimes.com/2013/10/28/world/europe/georgia-elects-new-president-but-real-power-will-rest-with-next-premier.html?hp&_r=0
4. Herfindahl-Hirschman Index. Updated July 29, 2015. <https://www.justice.gov/atr/herfindahl-hirschman-index>
5. Keynes, J. M. 1936. *The General Theory of Employment, Interest and Money*. Palgrave Macmillan.
6. Lordkipanidze, Revaz. 2017. *The Force of International Competition (For the Fundamentals of Business and Law)*. Nationally Parliamentary Library of Georgia. In English. <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/193397/1/TheForceOfInternationalCompetition.pdf>
7. Lordkipanidze, Revaz. 2018. Competition theory's "sensational" implicit defects and urgent regulations. Nationally Parliamentary Library of Georgia. In Georgian. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/247873>
8. Lordkipanidze, Revaz. 2022. "General Issues for Economic Development and Theory of Competition in New Electronic World". - With invitation by Lambert Academic Publishing: 2022: 75, ISBN: 978-620-4-95546-9. DOI: 10.13140/RG.2.2.14232.88323
9. Lordkipanidze, Revaz. 2022. Urgent recommendations for economic independence and raising living standards based on generalization of 1000 works. DOI: 10.13140/RG.2.2.16826.47048 <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/378598>
10. Mierzejewski, Alfred C. 2004, *About Ludwig Erhard, Essays in Economic and Business History*, 22: 17–27, ISSN 0896-226X <http://www.ebhsoc.org/journal/index.php/journal/article/view/70/66>
11. Remarks by President Biden on the End of the War in Afghanistan. <https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2021/08/31/remarks-by-president-biden-on-the-end-of-the-war-in-afghanistan/>
12. Ricardo, David. 1817. *On the Principles of Political Economy and Taxation*. Complete, fully searchable text at the Library of Economics and Liberty. <http://www.econlib.org/library/Ricardo/ricP.html>
13. Smith, Adam. 1776. *An inquiry into the nature and causes of the wealth of nations*. Complete, fully searchable text at the Library of Economics and Liberty. <http://www.econlib.org/library/Smith/smWN.html>
14. Snower, Dennis J., and Steven J. Bosworth. 2016. "Identity-Driven Cooperation versus Competition." *American Economic Review*, 106 (5): 420-424.

გონივრულად დაცული კონკურენციისა და „ატომური ბალანსით“ ეკონომიკური რეგულირებისათვის

რევაზ ლორთქიფანიძე

სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, თბილისი, 0114.

ელფოსტა: revaz.lortkipanidze@geomedi.edu.ge

აბსტრაქტი

წარმოდგენილმა კვლევამ აჩვენა, რომ შეერთებულ შტატებს აქვს საუკეთესო გამოცდილება კონკურენციის შეფასებისა და დაცვის საქმეში, მაგრამ, ეკონომიკური თეორიის კლასიკოსების დროებიდან დაწყებული, არსებობს ერთი არსებითი არასრულყოფილება სრულყოფილი კონკურენციის გაგებაში. შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ბევრი კონკურენტის ოპერირება ბაზარზე, მაგრამ არა ძალიან ან უსაზღვროდ ბევრის, როგორც ფიქრობენ ტრადიციული „კლასიკური“ სპეციალისტები და ზოგიერთი ოფიციალური სტრუქტურები და პიროვნებებიც კი ნამდვილად სასწაულმოქმედ კონკურენციის ფენომენზე.

თანამედროვე გლობალურ განვითარებაში, პანდემიისა და გამწვავებული კონფლიქტების შემდეგ, თუ ჩვენ კვლავ არ გამოვასწორებთ ამ გაგებას, საბოლოოდ დავაზიანებთ დემოკრატიულ საფუძვლებსა და მეცნიერებატევად ბიზნესებს, საპირწონედ კი დიქტატორულ მონოპოლიებს გავუწევთ მნიშვნელოვან სამსახურს.

თუ ჩემი კვლევის პირველ წლებში ეფექტიანი კონკურენციის მთავარ დაბრკოლებად არაკეთილსინდისიერი მსხვილი ბიზნესი მიმაჩნდა, ახლა, ვფიქრობ, რომ არანაკლებ სერიოზული პრობლემაა პატიოსანი და ნიჭიერი მსხვილი მწარმოებლების ხელოვნური დანაწევრება.

განსაკუთრებით მეცნიერებატევადი ჯანდაცვის ეკონომიკისა და მანქანათმშენებლობის შესაძლებლობათა შესწავლის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მხოლოდ გონივრულად დაცული კონკურენტული გარემოს პირობებშია შესაძლებელი სახელმწიფო რეგულირებისა და თავისუფალი ბაზრის თვითრეგულირების ფაქტორების გონივრული კომბინირება.

ზემოგანხილული რეგულირებისა და თვითრეგულირების ფაქტორები, ჩვენი აზრით, არამონოპოლიურ წონასწორობაში უნდა მოქმედებდეს, ისევე, როგორც ელექტრონები და პროტონები ატომში. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ისტორიიდან ვიგებთ, ვიღებთ სხვადასხვა დიქტატურებსა და დიდ დეპრესიას.

საკვანძო სიტყვები: სრულყოფილი კონკურენცია, სახელმწიფო რეგულირება, თავისუფალი ბაზრის თვითრეგულირება.

შესავალი

როგორც მეცნიერ-ეკონომისტი, ყოველთვის ვგრძნობ პასუხისმგებლობას ვიბრძოლო ცხოვრების დონის ამაღლებისა და სიღარიბის შესაძლო აღმოფხვრისთვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, ეს შესაძლებელია მხოლოდ მაქსიმალურად მინიმალური უსამართლო კონკურენციის გლობალურ პირობებში.

კონკურენციის გააზრების შესახებ შესაძლოდ ზუსტი კრიტერიუმის დასადგენად, ეკონომიკურ-მათემატიკური ანალიზის საფუძველზე [6; 8; 9], ფიზიკაც კი გამოვიყენე და, კონკურენციის ძალის საჭირო ოპტიმალური დონის განსაზღვრისათვის, შევიმუშავე ეკონომიკური ანალოგი ფიზიკის ცნობილი დენის ძალის კანონის ($I=V/R$) შესაბამისად.

ლოგიკურად, ბაზრის კონკურენტების რაოდენობის ზრდის შემდეგ, იზრდება კონკურენციის ძალა, მაგრამ კონკურენტთა ძალიან დიდი რაოდენობის შემთხვევაში, ჩემი აზრით, მივიღებთ ეკონომიკური სტრუქტურების „მოკლე ჩართვისა“ და „გადახურების“ ეფექტს, შედეგად, ჭარბწარმოების ჰიპერინფლაციასა და კრიზისულ შოკს.

ჩვენ შევნიშნეთ, რომ მსოფლიო ეკონომიკას არ სჭირდება მხოლოდ უსასრულოდ დიდი რაოდენობის მცირე ბიზნესის სუბიექტების (ე.წ. ეკონომიკის „ჭიანჭველების“ კონკურენცია) ხელოვნური გარემო და მეტად აწყობს გულმოდგინე კონკურენტების ბუნებრივი კონკურენცია, სადაც ბაზრის ყველა მონაწილეს (არა მხოლოდ საშუალოსა თუ ყველაზე მცირეს, არამედ, ძალზე მასშტაბური ეფექტების გიგანტებსაც) აქვს საკუთარი ეფექტიანი კონკურენტული ბიზნესი.

უმსხვილესი მიმწოდებლის ზომისა და კონკურენციის ძალის უკუპროპორციული დამოკიდებულების მრუდის დაკავშირებამ ეფექტიანობის დონისა და საწარმოს ზომის დამოკიდებულების გრაფიკთან, შეიძლება მიგვიყვანოს კონკურენციის სიმძლავრის რაციონალური დონის განსაზღვრამდე ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის [7: 103].

მასალა და მეთოდები

ისტორიული მასალებისა და ეკონომიკური მეთოდებისა და ურთიერთობების განვითარების პროცესის ძალიან საინტერესო და, ჩემი აზრით, ზედმინწევით ზუსტად განსაზღვრული ეტაპების ინტერპრეტაციის შემდეგ, რ. ფოგელი ასკვნის, რომ რეტრო და ამჟამინდელი ბიოსამედიცინო კვლევების გამოცდილება დღევგრძელობის საკითხებში, ცხოველთა პოპულაციების კვლევასთან ერთად, ბევრ ევოლუციონისტ ბიოლოგს უბიძგებს, რომ მზარდი ყურადღება მიაქცეს ადამიანის ე.წ. ბედნიერი დაბერების პროცესებს [2: 9]. ადამიანის ცხოვრების ამ მრავალფაქტორული კვლევის სასიკეთო გავლენით, ჩავატარე ნეიროეკონომიკური ხასიათის ლოგიკური ანალიზი, რომელმაც გვაჩვენა, რომ ადამიანი არც ისე ხშირად იქცევა ისე, როგორც უკეთესია ყველასათვის.

კრიტიკულ სიტუაციებში ბიზნესმენის გადანყვეტილების გამოკვლეული მარტივი ყოველდღიური შემთხვევები მეტწილად უფრო ინსტინქტურ და ნაკლებად მიზანშეწონილ

რეაქციებს ასახავს, როდესაც ბიზნესმენი კონკურენციის გამწვავებაზეც კი მიდის, როცა შეუძლია უფრო კომფორტულად იმოქმედოს. მაგალითად, თუ ადამიანები ყიდულობენ ფილმების ბილეთებს და აკეთებენ არჩევანს სავსე და ცარიელ დარბაზებს შორის, მეტი პოპულარობის სურვილის ინსტინქტი მათ აიძულებს შეუერთდნენ სავსე დარბაზის სიტუაციას. შედეგად, ვიღებთ ზედმეტად დაძაბულ კონკურენციასა და ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებულ პრობლემებს გადაჭედო კინოსასახლეში. ფაქტია, რომ ასეთ შემთხვევებში, გონივრული კონკურენციის დაცვა ძალზე საჭიროა მსოფლიო ეკონომიკის მომავალი ჯანსაღი პროცესების გონივრული რეგულირებისთვის.

ამერიკულ ბიზნესზე დაკვირვებამ, ასევე, გვაჩვენა, რომ ისეთი ეკონომიკურად ძალიან ძლიერი ქვეყანაც კი, როგორც ამერიკა, ბრძნული საერთაშორისო ანტიმონოპოლიური სტრუქტურის გარეშე, მსოფლიო ეკონომიკის ახალ პირობებში, მხოლოდ ინტერნეტის საკუთარი შესაძლებლობებით, ვერ შეძლებს საერთაშორისო არაკეთილსინდისიერი ფარული მონოპოლიების განეიტრალებას.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია არის ხანგრძლივი ომების, სიღარიბისა და ტერორიზმის მთავარი მოტივატორი [11], რაც საჭიროებს გადაუდებელ მასშტაბურ რეფორმებს, განსაკუთრებით მცირე განვითარებად ქვეყნებში და პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მსხვილ ბიზნესმენებს, ასეთ დროს, შეუძლიათ იყვნენ გონიერი, ფრთხილი და დემოკრატიული რეფორმატორებიც.

შედეგები

მთავარ შედეგებად უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ეკონომისტი, თავს მოვალედ ვთვლიდი და გამოვთქვამ კონცეპტუალურად დასაბუთებულ მოსაზრებებს მზარდ გლობალურ ეკონომიკაში სიღარიბის კრიტიკულად მაღალი 80%-იანი დონის დასაძლევად, ადამიანის გამდიდრების მორალურად გამართლებულ ეფექტურ ფორმებსა და, ლოგიკურად, კონკურენციის სამართლიანი საფუძვლებისათვის.

შეერთებული შტატების როლი მსოფლიო სიღარიბის შემცირებაში მართლაც ფასდაუდებელია და ჩემი მრავალი ნამუშევარი აღნიშნულს ეძღვნება.

ჩემი სამშობლო - საქართველო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ხანგრძლივი ომების გამო, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს დონით, მსოფლიოში ყველაზე ჩამორჩენილ პოზიციაზე აღმოჩნდა და უღარიბესი სტატისტიკური ბაზის პირობებში, ხშირად, მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობა და პროფესიული ინტუიცია შეელოდა ჩვენს კვლევასა და ყველა ჩვენთაგანს საერთოდ.

ეკონომიკური დამოუკიდებლობის დასაწყისში, წარუმატებლობის მთავარ მიზეზად ეკონომიკური პოლიტიკისა და კონკურენციის გაგების შესახებ არასათანადო გამოცდილება წარმოჩინდა, მაშინ, როცა კონკურენციისა და რეგულირების გარკვეული კომბინაციის სხვადასხვა მოდელი საუკეთესო სტაბილურ შედეგს იძლეოდა ისეთ მძლავრ

ქვეყნებში, როგორებიცაა აშშ, გერმანია, ჩინეთი და ა.შ. [7: 3, 59, 91, 101].

ჩემი მსგავსი კომბინირებული-ქსელური რეგულირებით, პირველი შედეგები განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა აშშ-ში, როდესაც დაიწყო გადასახადების დათბობა მიმდინარე რეფორმითა და სახელმწიფო სუბსიდიებითა და შეკვეთებით ამ მართლაც დიდი დემოკრატიული ქვეყნის მაღალტექნოლოგიური კლასტერებისათვის (მაგალითად, სილიკონის ველზე), ევროკავშირის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ე.წ. სოციალურ ბაზრებზე (გერმანია, შვედეთი, ბენილუქსის ქვეყნები), თავისუფალ რეგიონულ ზონებში (ჩინეთი), დაგეგმილი საბაზრო მექანიზმების ეფექტიანი შეხამებით (იაპონია), დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის სფეროში და ა.შ. ჩვენ ცალსახად გვწამს, რომ ღმერთი და გენიალური სმიტის კონკურენციის უხილავი ხელი რეალურად არსებობენ, მაგრამ, ასევე დარწმუნებული ვართ, რომ ღმერთი არ მოითხოვს ადამიანებისგან ხელებჩამოშვებულ ლოდინს - მწვავედ საჭიროა გონივრული მოქმედება.

დიდი დეპრესიის 30-იანი წლებიდან (მე-20 საუკუნე) და ომისშემდგომი გერმანიის რეფორმებიდან [10] დაწყებული, დებატები ადამ სმიტის კონკურსის ნეოკლასიკურ მომხრეებსა ("უხილავი ხელი") და კეინსიანური რეგულირების მომხრეებს შორის, უფრო და უფრო ჩვენს მწვავე ხდება. ზოგიერთმა საერთოდ უარყო ადამ სმიტის თეორია და დიპლომატიურად მომრიგებელი ახალი ნეოკლასიკური მოდელები სავალდებულო გახდა.

ადამ სმიტისა და დავით რიკარდოს გულწრფელი პატივისცემით, უნდა აღვნიშნო, რომ ისინი გენიალურად ხედავენ კონკურენციის „უხილავი ხელის“ ძალას, მაგრამ შექმნილი ღირებულების მათ მიერ შეფასებისას, მეტი აქცენტი კეთდება შრომის რაოდენობაზე და არა ხარისხზე, საჭირო მაქსიმალური პროდუქტიულობის მოთხოვნით. როგორც ვიცით, სმითი წერს საქონლის რეალურ და ნომინალურ ფასზე, რომ, მაგალითად, თანაბარი რაოდენობის შრომის ყიდვა, შესაძლებელია, სხვადასხვა დროს თანაბარი რაოდენობის მარკველულით [13] და რიკარდოს შრომითი ღირებულების თეორიაც აზუსტებს, რომ საქონლის ღირებულება ან ნებისმიერი სხვა შესაბამისი რაოდენობა, რომელზედაც გაცვლა იქნება წარმოებული, დამოკიდებულია შრომის შეფარდებით ოდენობაზე, რაც პროდუქცია-მომსახურების შექმნისათვის არის აუცილებელი და არა როგორც მეტ-ნაკლებად კომპენსაციები, რომლებსაც სხვადასხვა შრომისათვის იხდიან [12].

რაოდენობრიობაზე აქცენტირების ნაცვლად, ვფიქრობთ, თანაბარძალოვანი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს რაოდენობისა და ხარისხის კრიტერიუმებსა და, როგორც ატომში, რეგულირებისა და თვითრეგულირების ფაქტორებს. ჩვენს მიერ შემოთავაზებული "ფასების მაკრატელი", ამ ეტაპზე, ვფიქრობთ, გააქტიურებს რეგულირების გარკვეულ მექანიზმებს და ფასების შემცირების საშუალებასაც მისცემს მენარმებს.


მაგალითად, თუ მულტივიტამინების კომპლექსის მინიმალური შესაძლო ფასი პანდემიისა და შეიარაღებული კონფლიქტების შემდეგ 5\$-ია და ამ კომპლექსისთვის

საშუალო შესაძლებლობების მყიდველმა შეიძლება გადაიხადოს მაქსიმუმ 15\$, ჩემი გათვლებით, შესაძლებელია ავავთო შესაბამისი მინოდებისა და მოთხოვნის ფუნქციები, სადაც კონკურენტული საფასო წონასწორობა მყარდება მულტივიტამინის \$10-იან დონეზე ($-25+5P=75-5P$; შესაბამისად, $P=10$). მაგრამ, თუ ავადობის გამო, მულტივიტამინების საჭიროება 30 ერთეულამდე აიწევს (რასაც ფასად 9 დოლარის დონე შეესაბამება), წონასწორული 25 ერთეულის ნაცვლად, სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს „ფასების მაკრატელის“ მექანიზმი და მენარმეს დაუსუბსიდროს 2 დოლარი კომპლექსის ყოველ ერთეულზე:

$-25+5(9+S)=30$ და, გამომდინარე $S=2$.

„ფასების მაკრატელის“ მარკეტინგული მაგალითი კონკურენტული ფასისა და საჭირო სახელმწიფო სუბსიდის გაანგარიშებით, პოსტპანდემიური და ომისშემდგომი პერიოდებისათვის მულტივიტამინურ მრეწველობაში

P (ფასი)



Q (რაოდენობა)

დასკვნა

დიდად პატივცემულ დაინტერესებულ მკითხველს ემახსოვრება, რომ მრავალი მონოგრაფია და სხვადასხვა შრომა გამომიქვეყნებია კონკურენციის შესახებ [6; 7] და ამ ახალ კვლევაში ვეცადე წარმომედგინა მეტად კონკრეტული რეკომენდაციები რაციონალური კონკურენციისა და რეგულირების შესახებ. კონკურენტთა ჩემი "ოპტიმალური რაოდენობის" გარეშე, ნაცვლად ცნობილი "დიდი (უსასრულო) რაოდენობისა", ჩვენ შეიძლება, უგუნურად დავანანევროთ ეფექტიანი კეთილსინდისიერი ადგილობრივი ბიზნესი და შევუქმნათ საუკეთესო პირობები გარე ფარულ მონოპოლიებს.

ვფიქრობ, ჩემმა 1019-მა გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ აჩვენა [8], რომ ჩვენი მიზანი არ არის სმიტის კრიტიკა - ვფიქრობ, რომ ის ნამდვილად გენიოსი იყო თავისი ეპოქისთვის, მაგრამ, ბუნებრივია, ადამიანური შეცდომებით. ჩვენს სტრატეგიულ მიზანს ისევ და ისევ წარმოადგენს დავასრულოთ დამკვიდრებული გაგება სმიტის ეპოქიდან, ბორკის [1] და ჰერფინდალ-ჰირშმანის (HHI) [4] ხედვამდე, რომ, უპირველესად ყოვლისა, მწარმოებელი კონკურენტების ძალიან დიდი რაოდენობა (ასევე, მყიდველებისა ან გამყიდველების)

განსაზღვრავს კონკურენციის სრულყოფილებას. როგორც ვიცით, HHI ითვალისწინებს ფირმების ზომებს, შესაბამისად, რაოდენობას ბაზრებზე და აღწევს მაქსიმუმ 10 000 ქულას, როდესაც მხოლოდ ერთი ფირმა შეიძლება აკონტროლებს მთელ ბაზარს [4].

